საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1186 2015 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

შპს „გრინ ფის“ მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „გრინ ფის“ და ინდური კინოკომპანია „First Frame Entertaiments Pvt“-ის მიერ მხატვრული ფილმის გადაღების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელოს შპს „გრინ ფისათვის“ (ს/კ №205254366) 10 (ათი) დღის ვადით, დანართით განსაზღვრული ქონებით უზრუნველყოფა და სათანადო დახმარების გაწევა.

2. შპს „გრინ ფიმ“ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ უზრუნველყოს:

ა) 2 835 (ორი ათას რვაას ოცდათხუთმეტი) ლარის მიმართვა სახელმწიფო ხაზინის მიმღების ანგარიშზე;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან დადებული შეთანხმების საფუძველზე:

ბ.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 2 (ორი) სარეკლამო რგოლის გადაღება ყველა ხარჯის დაფარვით, გარდა სამხატვრო ხარჯისა;

ზ.ბ) რუსთაველის კინოთეატრში არანაკლებ 3 ნებისმიერ სეანსზე, მხატვრულ ან ანიმაციურ ფილმზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა უსასყიდლოდ დასწრება.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის
2015 წლის 8 ივნისის
№1186 განკარგულების

დანართი

1. ტანკი „T-72“ - 2 ერთეული (დროებით სარგებლობაში).
2. უნაგირა „გამწე“ - 2 ერთეული (დროებით სარგებლობაში).
3. მუზარადი რკინის - 100 ცალი (დროებით სარგებლობაში).
4. ფუჭი ვაზნა 7,62X54 - 500 ცალი.
5. კვება (მშრალი ულუფა) - 40.